ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და აცხადებს კონკურსს თსუ მკვლევარებისთვის (პირველი სამიზნე ჯგუფი) ევროპის 9 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი სტიპენდიის მოსაპოვებლად

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:

http://ianus.uaic.ro/ianus/

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	**მკვლევარები**
ცნობა სტატუსის შესახებ	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ, რომ ამჟამად რეგისტრირებული ხართ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
დოქტორის დიპლომი	არქონის შემთხვევაში, ცნობა, რომ დამთავრებული გაქვთ, აღების სავარაუდო თარიღის მითითებით (დანართი 1)
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ არ მიიჩნიოს ენის სერთიფიკატის ქონა, ამ შემთხვევაში შეავსეთ და ატვირთეთ დანართი 2. თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
საკვლევი გეგმის მონახაზი	საკვლევი თემის სათაური, გეგმა, ძირითადი საკითხებით და მიზნებით, მეთოდოლოგიითა და ბიბლიოგრაფიით (დანართი 3)
რეკომენდაციის წერილი	სასურველია სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გაცემული
მოტივაციის წერილი	რატომ გსურთ ზემოაღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება (ინგლისურ ენაზე)
დაინტერესების წერილი მასპინძელი უნივერსიტეტისგან	მასპინძელი უნივერსიტეტის კვლევის ხელმძღვანელის წერილი, კვლევის ხანგრძლივობის მითითებით, რომ თქვენ შესაბამისი ხართ თანამშრომლობისთვის
CV	ევროპული ფორმატი
პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია
სოციალურ-ეკონომიკური, ჯანმრთელობის პრობლემის, დევნილის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა (არსებობის შემთხვევაში)	ოფიციალური დოკუმენტი, რომ მიეკუთვნებით სოციალურად დაუცველ ფენას, იღებთ სოციალურ შემწეობას, ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი დოკუმენტი ან დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. იაშის უნივერსიტეტი, რუმინეთი
2. კარლ-ფრანცეზის უნივერსიტეტი, გრაცი, ავსტრია
3. ლილი 1: მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
4. მონპელიე 2: მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
5. ფრიდრიხ შილერის იენის უნივერსიტეტი, გერმანია
6. გრონინგენის უნივერსიტეტი, ჰოლანდია
7. იაგელონიის უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი
8. ბატეი ბელის უნივერსიტეტი, სლოვაკეთი
9. გრანადის უნივერსიტეტი, ესპანეთი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
http://ianus.uaic.ro/ianus/academic-offer
მობილობის პერიოდი: 2014/2015 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლოვობა: 6 ან 10 თვე
სტიპენდია მოიცავს 1800 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2014 წლის 20 თებერვალი

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ
ანი ჭელიშვილს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში
თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121. ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge